უსაფრთხოების ზომები

- მოწყობილობის დასამუხტად გამოიყენეთ მხოლოდ თავსებადი ქსელური ადაპტერი და კაბელი. არასწორად შერჩეული ადაპტერის, კაბელის ან დამტენი საცმების გამოყენებამ შესაძლოა დააზიანოს როგორც თქვენი მოწყობილობა, ისე მასზე მიერთებული მობილური საშუალებები.
- ყოველთვის დამუხტეთ მოწყობილობა კარგად განიავებად შენობაში. არ დამუხტოთ ან განმუხტოთ მოწყობილობა ისეთ ადგილებში, სადაც გართულებულია სითბოს გაცვლა, მაგალითად: შარვლის ჯიბეში, დახურულ ჩანთაში, საწოლზე ან დივანზე. დარწმუნდით, რომ მოწყობილობა არ არის დაფარული ტანსაცმლით, ბალიშებით, თეთრეულით ან სხვა საგნებით.
- არ შეინახოთ მოწყობილობა ზედმეტად მაღალ ან დაბალ ტემპერატურაზე. დაიცავით იგი მტვრის, ტენიანობისა და მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედებისგან.
- არ ჩადოთ მოწყობილობა წყალში და არ გამოიყენოთ იგი წყლის წყაროების უშუალო სიახლოვეს.
- არ შეეხოთ მოწყობილობას სველი ხელებით.
- დაიცავით მოწყობილობა დავარდნის, დარტყმისა და შენჯღრევისგან. უხეშმა მოპყრობამ შესაძლოა დააზიანოს შიდა კონტაქტები და პლატები.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ.
- დამუხტვის პროცესში მოწყობილობისა და ქსელური ადაპტერის გაცხელება ნორმალური მოვლენაა.
- მოარიდეთ მოწყობილობა და მისი კომპლექტაცია ცეცხლსა და ძლიერი სითბოს სხვა წყაროებს.
- მოწყობილობასთან არაკვალიფიციურმა მანიპულაციებმა (მოდიფიკაცია, რემონტი, ელემენტის თვითნებური შეცვლა და ა.შ.) შესაძლოა ზიანი მიაყენოს მოწყობილობას და თქვენს ჯანმრთელობას.
- მოწყობილობის სრული განმუხტვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ გარე აკუმულატორის (PA) გამოყენება.
- დაიცავით ადგილობრივი კანონმდებლობა და არ გამოიყენოთ მოწყობილობა იმ ადგილებში, სადაც ეს აკრძალულია (მაგალითად: თვითმფრინავის აფრენა-დაფრენისას, სამედიცინო მოწყობილობებთან ახლოს და ა.შ., რადგან მან შესაძლოა გამოიწვიოს შეფერხებები).
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა დავარდნის შემდეგ, აგრეთვე ხილული დაზიანებების, ელემენტის შებერვის ან მუშაობის შეფერხების შემთხვევაში. მიმართეთ სერვის-ცენტრს.
- პირველ გამოყენებამდე სრულად დამუხტეთ მოწყობილობა. მოწყობილობის სრულფასოვანი წარმადობა მიიღწევა მხოლოდ 2–3 სრული დამუხტვა-განმუხტვის ციკლის შემდეგ.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.